№ 24

ოთხშაბათი, 1 თებერვალი 1895

1877--1895

№ 24

ოთხშაბათი, 1 თებერვალი 1895

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

---

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 2 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ბენეფისი ვ. ა. ავალიშვილისა

ბ-ნ ვ. ალექსეევ-მესხიევისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

**მამულ-დედული**

დრამა 4 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი: ყიფიანი, ალექსეევ-მესხიევი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, მათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ორი დარაჯი“ დრამა 3 მოქმედ. და „ცოლი-მეუღლე“ დრ. 4 მოქ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

(2—2)

---

## როგორ უნდა მოეწყოს სასოფლო სკოლები

(წერილი პირველი *)

თუმცა ისეც ნათლადა სჩანს, რომ 40 წამიანი გაკვეთილი გაცილებით სჯობია ერთს საათიანსა, ჩვენ მაინც საჭიროთ ვრაცხთ ამას, შემდეგი განმარტება დავურთოთ.

ჩვენებური სკოლის დღევანდელს მდგომარეობაში, სადაც მასწავლებელს აწევს კისერზედ 3 და 4 განყოფილება, თქმა არ უნდა, რომ ერთ-საათიანი გაკვეთილიც ცოტაა, მაგრამ, როდესაც მასწავლებელს მარტო ერთი განყოფილება ექმნება ჩაბარებული, სრულიად საკმაოა 40 წამიანი გაკვეთილი—და იმედი გვაქვს, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ ჩვენ-მიერ დასურათებულს წეს-წყობილებაში, მასწავლებელი ერთი-ორად უფრო მეტს გააკეთებს და მოსწავლენიც ერთი-ორად უფრო მეტს ისწავლიან, ვიდრე დღეს ასწრებენ იგინი 3 წლის განმავლობაში. ნულარას ვიტყვით იმაზედ, რომ მთელი საათობით ჯდომა ხმელს ფიცარზედ მეტად აუტანელი ჯაფაა ნორჩის ბავშვისათვის!.. გარდა ამისა, როგორც მკითხველი ჰხედავს, ორმოც-წამიანი გაკვეთილი ნებას გვაძლევს ჩვენ, ერთი ორად მეტი გაკვეთილები ვიქონიოთ სასწავლებელში, ე. ი. რომ ყველა განყოფილებას ერთი-ორად უფრო მეტჯერ ვუხელმძღვანელოთ სწავლაში (მოგეხსენებათ, რომ უმთავრესი საფუძველი სწავლისა მასწავლებლის პირადი ხელმძღვანელობაა მოსწავლისა და რამდენადაც უფრო მეტი და ხშირი იქნება ეს ხელმძღვანელობა, იმდენად უფრო კარგად ისწავლის და განვითარდება მოსწავლე. დღეს მღვდელს და მასწავლებელს ერთად საშუალო რიცხვით აქვთ ყველა განყოფილებაში 30 გაკვეთილი კვირაში, ჩვენით ექნებათ 66 გაკვეთილი, ე. ი. ერთი-ორად მეტი, თუმცა საერთოდ დრო სწავლისა გაცილებით ნაკლები უნდება.

ეს შემცირება გაკვეთილების ვადისა, როგორც ჰხედავთ, ნებას გვაძლევს, რომ შეგირდმა თითქმის ერთი-ორად ნაკლებ დროს ისწავლოს (დღეს სოფლის მოსწავლე ზის სასწავლებელში 5—6 საათს, ჩვენს სკოლაში-კი 3—4), მაგრამ ერთი ორადვე უფრო მეტს საგნებზედ-კი ივარჯიშოს.

საათიანი გაკვეთილის შენაცვლება 40 წამიანი გაკვეთილით და იმისგან წარმომდგარი გაკვეთილების სიმრავლე კიდევ იმით არის მეტად სასარგებლო ჩვენის სახალხო სკოლებისათვის, რომ შეძლებას გვაძლევს, ვასწავლოთ საგნები თანასწორ, ქართულადაც და რუსულადაც. (იხ. ზემოდ გაკვეთილების სია), ე. ი., თუ დღეს ქართულად ვასწავლეთ საღმრთო წერილი, ხვალ რუსულად ვასწავლით; თუ დღეს ქართულად ვასწავლეთ არითმეტიკა,—ხვალ რუსულად ვასწავლით და ასე ამ გვარად, სწავლა სამშობლო ენაზედ მუდამ წამძღვარებული ექმნება რუსულსა, რაიცა, ეჭვი არ არის, ერთი ორად გააადვილებს და გაადიდებს მოსწავლის განვითარებას ორივე ენებსა და საგნებში... კიდევ სხვა ბევრი სასარგებლო მხარე აქვს ამ ჩვენ მიერ აღნიშნულს სწავლების წეს-რიგს, მაგრამ, გვგონია, ნათქვამითაც საკმაოდ ნათლადა სჩანს მისი ყოველგვარი სარგებლობა და სიკარგე. ამიტომ გავათავოთ ამაზედ საუბარი და გადავიდეთ სამ-წლიან სასოფლო სკოლებზედ.

—

როგორცა ვსთქვით, სამ-წლიანი სასოფლო სკოლები უნდა დავაფუძნოთ უფრო დიდსა და შეძლებულს საზოგადოებაში: ძირითადი განსხვავება ამ სასწავლებლებისა აწინდელებთან და ზემოდ მოხსენებულ ორ-წლიან სკოლებთან შედარებით ის არის, რომ მათში 3 მასწავლებელია: ერთი მღვდელი, ერთი—თითონ მასწავლებელი და მესამეც—აგრონომი (დაბალ სამეურნეო სკოლებში ნასწავლი). რადგანაც 3 წლიან სკოლებში სამი განყოფილება იქმნება, ამიტომ აქაც, რადგან სამი მასწავლებელია, თითო მასწავლებელი თითო განყოფილებას ასწავლის და ეს, ეჭვი არ არის, ერთი-ორად და საშად უფრო წინ წასწევს სასოფლო სკოლასა და იმის სწავლა-განვითარებას. მოვიყვანოთ ამისათვისაც დაახლოვებითი სია ყველა საგნებისა და გაკვეთილებისა ერთის კვირისათვის, რომ უფრო ნათლად დავინახოთ, თუ რომელმა მასწავლებელმა რა საგანი უნდა ასწავლოს და რამდენი გაკვეთილი უნდა მისცეს კვირაში. აქაც, ჩვენის აზრით, მღვდელს მხოლოდ ხუთი ორმოც-წამიანი გაკვეთილი უნდა დავაკისროთ და დანარჩენს ორს მასწავლებელს ექვს-ექვსი. გამოდის, რომ სამ-წლიანსა და სამ-განყოფილებიანს სასოფლო სკოლებში სულ ასამდის გაკვეთილი უნდა იყოს კვირაში. ამათში 30 უნდა აძლიოს მღვდელმა, ხოლო დანარჩენები თვით მასწავლებელმა და აგრონომმა, ე. ი., მღვდელმა უნდა ასწავლოს შეგირდებს 3 საათს და 20 წამი დღეში, ხოლო დანარჩენებმა ოთხ-ოთხს საათს.

| | I განყოფ. | II განყოფ. | III განყოფ. | |
|---|---|---|---|---|
| საღმრთო წერილი ქართულად | 2 | 2 | 2 | 6 |
| იგივე რუსულად | 2 | 2 | 2 | 6 |
| ქართული კითხვა | 3 | 3 | 3 | 9 |
| ქართული წერა | 2 | 2 | 2 | 6 |
| საეკკლესიო და საერო გალობა-სიმღერა | 1 | 1 | 1 | 3 |

იქნება სულ 30 გაკვეთილი, რომელსაც იტვირთებს მღვდელი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსული კითხვა | 3 | 3 | 3 | 9 |
| რუსული წერა-კარნახობა | 3 | 3 | 3 | 9 |
| არითმეტიკა ქართულად | 2 | 2 | 2 | 6 |
| იგივე რუსულად | 2 | 2 | 2 | 6 |
| თვალ-საჩინო სწავლა | 2 | 2 | 2 | 6 |

სულ იქნება 36 გაკვეთილი, რომელიც შეიძლება იკისროს თითონ მასწავლებელმა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აგრონომია | 6 | 6 | 6 | 18 |
| ხელთ-საქმე | 6 | 6 | 6 | 18 |

სულ იქნება 36 გაკვეთილი, რომელიც აგრონომმა უნდა ასწავლოს.

როგორც მკითხველი ჰხედავს, აგრონომიას და ხელთ-საქმეს სასოფლო სკოლის მოსწავლე სწავლობს ყოველ დღე და ასეც უნდა იყოს ჩვენის აზრით. ყველა სასოფლო სკოლა, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს სახალხო, ე. ი. უნდა აკმაყოფილებდეს ხალხის მოთხოვნილებას უფრო გლეხებისას, რადგან ესენი რიცხვით მეტნიც არიან და მუშაობის მიმდევარნიც, ხოლო რადგან ეს უკანასკნელი — შრომაა, მუშაობა, ამიტომ სასოფლო სკოლამაც თვისი უმთავრესი ყურადღება ამ საგნებს უნდა მიაქციოს, რათა ნამდვილი მშრომელი თაობა გამოუზარდოს სოფელსა. გვგონია, რომ ჩვენ მიერ დასურათებული სასოფლო სკოლის მოწყობილება ყოვლის სისრულით დააკმაყოფილებს ხალხის ამ მოთხოვნილებას!.. (სასოფლო სკოლის დანიშნულებაზედ იხილე „კვალი“, № 3).

ი. როსტომაშვილი.

ქ. ტფილისი.

*) იხ. „ივერია“, № 23

---

# ფელეტონი

***

დავმონებივარ, ვმსახურებ
ზე-შთაგონების გრძნობასა,
არ ვიცი, რა ჰსურს, რას უქადს
იგი ჩემს ასეთს ყმობასა?
თუმცა-კი ვხედავ მე მისგან
ერთად-ერთს თანაგრძნობასა,
ყურში ჩამძახის: ერიდე,
ყრმავ, შენზედ აღძრულს მტრობასა:
ის არ დაგინდობს, შეგლახავს
და გაწყევლინებს თავსაო,
ალმურს აღგიგზნებს, გულ-ღვიძლში
დამამხობელს და მწვავსაო;
ყრმაო, ერიდე, ერიდე
შენდზედ მომართულს ვნებასა,
თუ გსურს, ისმენდე კეთილსა,
უტყუარს, უკვდავს მცნებასა...
ყველგან, ყოველთვის ეს გრძნობა
არ მაძლევს მოსვენებასა,
ჩამძახის ყურში ალერსით
სულ ამ საფრთხილო მცნებასა:
არვიცი რისთვის, საიდგან,
ის ჩემთან მოვლინებულა
და ჩემსა დასამონებლად
ჩემზედვე ამხედრებულა?
დაე, ვისგანც არს ეს მადლი,—
მისი გზა-კვალი ქებულა,
თუ სიბრალული აქვს საგნად,
და მისთვის გამეფებულა!..

დ. ნინოწმინდელი

## ციმბირის გამოჩენილი პატრიოტი

შარშან, 7-ს იანვარს, ციმბირის ქალაქს ბარნაულში, გარდაიცვალა შესანიშნავი მამულის მოყვარე და გამოჩენილი მოღვაწე ნიკოლოოზ მიხეილის ძე იადრინცევი. მეტი არ იქმნება, გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ამ დაუღალავის მოღვაწის ცხოვრება და იმისი მამულისათვის თავ-განწირული შრომა. რუსულ ჟურნალის „Русская Мысль“-ის ამ წლის პირველს ნომერში დაბეჭდილი არის ბ. სემევსკის წერილი იადრინცევის შესახებ; ვიხელმძღვანელოთ ამ წერილით და ცოტათი მაინც გავიცნოთ განსვენებული მოღვაწე.

იადრინცევი დაიბადა დასავლეთ-ციმბირის ქალაქს — ომსკში. გიმნაზიის კურსის და მთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც ისმენდა ლექციებს იქაურს უნივერსიტეტში. პეტერბურგში ის დაუახლოვდა ნაუმოვს, პოტანინს, ფედოროვ-ომულევსკის, თავისს მემამულეთ და შემდეგში გამოჩენილთ მწერალთ. მაშინ პეტერბურგს არსებობდა ციმბირელ სტუდენტთა წრე, რომლის წევრები, გატაცებულნი თავისის მამულის სიყვარულით, რასა და რას არა ჰფიქრობდნენ და რაზედ არ ოცნებობდნენ. ყველას ჰსურდა მხოლოდ თავისის ციმბირისათვის ემუშავნა და იმის კეთილდღეობისათვის შეეწირა თავი. იადრინცევმა ამ წრეში მალე დაიკავა უმთავრესი ადგილი და დიდი გავლენაც მოიპოვა თავისს ამხანაგებზედ. ამ ყმაწვილ კაცების უმთავრესს სურვილად შეიქმნა ენახათ ოდესმე თავისი მამული თავისუფალ ქვეყნად. „ციმბირი უნდა გახდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, ისე როგორც ამერიკაო“.

ციმბირელის სტუდენტების აზრებმა ამგვარი მიმართულება მიიღეს მესამოცე წლებში, როდესაც საზოგადოდ მთელის რუსეთის ცხოვრებას წინმსვლელობა დაეტყო; მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მათზედ უწინდელ დროების ამ გვარსავე ცდას უთუოდ ჰქონდა თავისი გავლენა. მეოცე წლებში რუსეთში დაარსდა საიდუმლო საზოგადოება, რომელმაც თავისს საგნად გაიხადა შემდეგი: ყველა სლავებს უნდა დაეარსებინათ ერთი დიდი ფედერატიული სახელმწიფო. ამ აზრით, ყოველი ნაწილი ამ სახელმწიფოსი,—დიდი-რუსეთი, მცირე-რუსეთი, პოლონია, ჩეხია, სერბია და სხვები შეადგენდა ერთს შტატს, რომელიც თავისს შინაურ საქმეებში სრულებით თავისუფალი უნდა ყოფილიყო; ყოველს შტატს ეყოლებოდა თავისი საკუთარი მთავრობა, რომელიც სრულებით დამოუკიდებლად განაგებდა თავისს ქვეყანას; ამ ფედერაციას ეყოლებოდა საერთო კონგრესი, რომელსაც მინდობილი ექმნებოდა მხოლოდ გარეშე საქმეების

# ახალი ამბავი

⁂ სახელმწიფო საბჭომ უმაღლესად დაამტკიცა, რომ ყველა სასწავლებლების მოწაფეთ, რომლებიც მასწავლებლებათ დაინიშნებიან, გზის ფული მიეცეთ ხოლმეო. „კავკაზი".

⁂ გუშინ-წინ ბაქოში, საღამოს 8 საათსა და 40 წამზედ დაიწვა ქალანთაროვის სავაჭრო შენობა, რომელიც საუკეთესო შენობა იყო მთელს ქალაქში. დაიწვა 30 მაღაზია სხვა-და-სხვა ძვირფას ნივთებით სავსე. ველარა გადაარჩინეს-რა. ცეცხლი ტფილისის მოვაჭრე ლანკოს მაღაზიიდგან გაუჩნდა. ზარალი ძალიან დიდია. შენობა 200 ათას მანეთად ყოფილა დაზღვეული.

⁂ გუშინ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ხელი მოაწერა იმ ბრძანებას, რომლის ძალითაც ტფილისსა და ბოსტაფას შუა პატარა სადგურებზედ ტელეგრაფის აპარატები უნდა გააუქმონ და მათ მაგიერად ტელეფონი დასდგან.

⁂ ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია საქმე კბილის ექიმის ფეიგინბერგის და იმის მეუღლის ავგუსტინა ბროცკის ასულისა. ეს ქალი სამი თვე თურმე, რაც ქმარს მოჰშორებია და მშობლების ოჯახს შეჰფარებია თავისის წლისა და ნახევრის ვაჟით.

ფეიგინბერგმა რამდენჯერმე თურმე სცადა, რომ ცოლ-შვილი თავისთანვე დაებრუნებინა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. რადგან იმის ცოლს ყოველგვარი შევიწროება ადგა ქმრისაგან, ამიტომ არას გზით არ დასთანხმდა ქმართან დაბრუნებას. ბოლოს გამხეცებული ქმარი მიუხტა ცოლს დედ-მამის ოჯახში და შვილის წართმევას ჰლამობდა, მაგრამ საბრალო დედამ ისე მაგრად ჩაიკრა გულში თავისი შვილი, რომ ვერას გზით ვერ გამოსტაცა ხელიდგან. ამ ხმაურობასა და წიოკობაზედ შემოცვივნდნენ თურმე მეზობლები და მოეშველენ ქალს, მაგრამ ქმარმა მაინც თავისი ქნა: რაკი შვილი ვერ წაართვა, შეუბრალებლად თურმე სცემა ცოლს.

ამ დანაშაულის ჩადენისათვის მომრიგებელმა მოსამართლემ ფეიგინბერგს ერთის თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

ახლა, კვირას, 29 იანვარს, სიონის საკრებულო ტაძარში ამ ფეიგინბერგს მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა სარწმუნოება მიუღია და აგრეთვე მოუნათლავს თავისი წლისა და ნახევრის ვაჟი; ამ პატივ-სადების მიზეზით პოლიციას შვილი ჩაუბარებია მამისთვის. ორი უფროსი შვილი ფეიგინბერგისა, რომელიც პირველის ცოლისაგან ჰყავს, ისევ ებრაელთა სარწმუნოებაზედ დაუტოვებია მამას.

⁂ გორი. გორში ჯერ ქურდობა არ შემწყდარა. აქ ბევრი უბინაოსია და არა აქვს სალსარი ცხოვრებისა. ამბობენ, პოლიციამ მათზედ მიიტანა ეჭვი. ყველაზედ კარგი-კი ის იქნებოდა, რომ „ქუჩის დარაჯები გათენებამდის დადიოდნენ ქუჩებში. ეს დალოცვილი შვილები დღე „დაიჯგიმებიან" ქუჩებზედ და ღამე-კი არსად სჩანან! კარგი იქნება აგრეთვე მათს რიცხვს მოუმატოს ქალაქმა, თორემ თორმეტი კაცი რას ეყოფა გორსა?!.

ბევრს რამეს ველით ქალაქის ახალის მოურავიდგან, მაგრამ მოლოდინი ჯერ მოლოდინად რჩება.

⁂ იქიდამვე. არ იქნა და წიგნთსაცავს ვერ ვეღირსეთ. ეს უფრო იმისი ბრალია, რომ აქაურს ინტელიგენტთა შორის ერთობა არ არსებობს. ლამის სოფლებმა აჯობონ სამაზრო ქალაქს წიგნთ-საცავთა გამართვაში.

⁂ ს. რუისი. ახალწლის ღამეს აქაური ღამის რაინდები ერთის ქვრივის სახლში შევიდნენ, საიდგანაც გამოიტანეს ლობიო, კაკალი, ჩურჩხელები და გაიყვანეს ქათმები. მაგრამ ნაქურდალით-კი ვერ ისარგებლეს. ეს ვაჟბატონები მეორე დღესვე შეიპყრეს და გათოკილები გორში გაჰგზავნეს.

⁂ იქიდგანვე. ჩვენში ავადმყოფობა არა არის-რა. დარებიც მშვენიერია. არ ვიცით-კი ჰირნახულს რა ბედი მოელის. მოსწრებულები იტყვიან ხოლმე: „ბამბით ავსებას საქართველოს თოვლით ავსება ურჩევნიაო". მაგრამ ეს თოვლი-კი არსად არის.

⁂ სად. სუფსა. ამას წინად სუფსაში სცენის მოყვარე ახალგაზდობამ წარმოდგენა გამართა. ითამაშეს ოთხ-მოქმედებიანი დრამა გუნიასი „და-ძმა". ამ წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და რიგიანადაც ჩაიარა; მაგრამ ერთი უბედურება მოხდა! აქაურს მცხოვრებელს მ. გ—ს წარმოდგენის გამგემ დაავალა სახლის დაქირავება, რომლისათვისაც ფულიც მისცა. მ. გ—მა სახლის პატრონის გ. სასტუმრებელი ფული ჩაჯიბა და სახლის პატრონს უწმაწურის სიტყვებით დაუწყო ლანძვა. მოთმინებიდგან გამოსული სახლის პატრონი გ. სარჯველაძე მიეპარა, სილა შემოჰკრა. გ—მას ორჯელ ესროლა თოფი, მაგრამ ორჯელვე აასცდინა, ამის გამო საქმე სწარმოებს.

⁂ იქიდამვე. აქაური მოვაჭრეები ჯერაც ვერ დასდგომიან წესიერს ცხოვრების გზას. ერთმანეთის ჯიბრით საერთო საქმეს გულგრილად ეკიდებიან, რის გამოც ზამთრობით ტალახი არჩობთ და ზაფხულობით-კი მოწამლული ჰაერი. ყველას თავის დუქანთან საცალფეხო გზა მიუკვალავს და იქით-აქეთ-კი საძაგელი წუმპე დგას. ურიგო არ იქნებოდა, რომ მოწინავე კაცებს ერთხელ მაინც ჩაეგონებინათ, ერთობა მოეხდინათ, ერთი რიგიანი ქუჩა გაეკეთებინათ და ორიოდე ფანარით გაენათებინათ ეს ქუჩა.

## კორესპონდენცია

**სოფ. ძულუხი** (ქუთაისის მაზრა): ჩვენში ისეთი დარებია, რომ კაცს ეგონება მაისიაო. სხვა დროს აქ ყოველთვის დიდი თოვლი იცის, რადგან ამ სოფელს უჭირავს მთიანი ადგილი, სადაც ხან-და-ხან გარედ გამოსვლაც ძნელია მეტის-მეტი თოვლისაგან, მაგრამ წელს ზამთარი თითქმის თავდება და თოვლი ჯერ თვალითაც არ გვინახავს. არ ვიცით, ამისთანა დარები რას მოასწავებს, სიკეთეს თუ სიავეს. მოხუცთა სიტყვებს თუ დავუჯერეთ, ისინი ამბობენ, რომ ამისთანა დარიან ზამთარს ყოველთვის ავადმყოფობა და მოუსავლიანობა მოსდევსო. სხვა ამ სოფელში ახალი ამბავი კიდევ ის არის, რომ ჩვენის სოფლის მამასახლისმა ერმანოზ ენუქიძემ ფრიად სასტიკი და საოცარი საქმე ჩაიდინა: წარსულს ქრისტეშობისთვის 14 კრება იყო ამ სოფელში ახალის მამასახლისის ამოსარჩევად. ამოირჩიეს მამასახლისად როსტომ გიორგაძე. ახალმა მამასახლისმა მოსთხოვა ერმანოზ ენუქიძეს ზოგიერთი ავეჯეულობა, მამასახლისის ჯაჭვი და აგრეთვე ახლად მოკრებილი სახელმწიფო ფული 763 მ. ძველმა მამასახლისმა ფულს გარდა ყველაფერი ჩააბარა ახალ მამასახლისს ხოლო ფულის ჩაბარებას სამის კვირის შემდეგ დაჰპირდა. ძველმა მამასახლისმა ერმანოზ ენუქიძემ ხელ-წერილი ჩამოართვა როსტომ გიორგაძეს, რომ ესა და ეს ავეჯეულება მივიღეო. გავიდა სამი კვირა. ერმანოზ ენუქიძემ ფული არ ჩააბარა ახალს მამასახლისს. დააწერინა ერთს თავისს ნათესავს ფალშივი ხელწერილი, და რადგანაც ახალმა მამასახლისმა წერა არ იცოდა მის მაგივრად ვითომ ხელი მოაწერინა გ. ნ—ძეს. წარუდგინა ბოქაულს ბ. მაჭავარიანს და უთხრა: ყველაფერი ჩავაბარე ახალს მამასახლისს და აი ყველაფრის ხელწერილიო. ბოქაულმა მეორე დღესვე დაიბარა გიორგაძე და უთხრა: სახელმწიფო ფული 763 მან. რა უყავიო. იმან უთხრა: არც ფული მიმიღია და არც მიღების ხელწერილი მიმიციაო. მაშინვე ძველი მამასახლისი დაიბარა, მაგრამ ის ცივს უარს ამბობს და თანაც იფიცავს, ფული ჩავაბარე და ხელწერილი მომცაო; ბოლოს ამ ხელწერილის შემდგენნი გამოტყდნენ. ძველი მამასახლისი ენუქიძე ამ ხელწერილის შედგენისათვის ხუთს თუმანს დაჰპირდა თურმე, მაგრამ არ მისცა და ამიტომაც გასცეს. ეხლა ჩვენი მამასახლისი ერმანოზ ენუქიძე და იმისი ამხანაგები დაპატიმრებულნი არიან ქუთაისში.

ამისთანა საქმეებს სჩადიან ზოგიერთი ვაჟბატონები. მართალია, სიავკაცე-კი არ შერჩებით, მაგრამ ამით სოფელს არა ეშველება-რა: ენუქიძისაგან დახარჯული 763 მან. საბრალო გლეხებმა უნდა გარდაიხადონ, რადგან ძველის მამასახლისის საცხოვრებელი ამ ვალს ვერ იხდავს. სასურველია, რომ ხალხის ამგვარად მძარცველებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ანტონ ზურაბაშვილი.

## რუსეთის ცხოვრება

ხარკოვის გაზეთები გვატყობინებენ, რომ ქ. ხარკოვის დეპუტაციამ დაიგვიანა და თვისს დროზედ, 17 იანვარს, ვერ გამოცხადდა სასახლეში. ამის-და მიუხედავად ხარკოვის ქალაქის მოურავი გოლენიშჩევ-კუტუზოვი წარსდგა იმპერატორის წინაშე და, მიართვა—რა პურ-მარილი, მხნედ და თამამად მოკლე და შესაფერი სიტყვა მოახსენა: „დავართხევთ-რა წინაშე მკვარცხლბეკისა თქვენის უდიდებულესობისა უქვეშევრდომილესს მოლოცვასა ჩვენსა თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ქორწინებისა გამო, უქვეშევრდომილესად მოგახსენებთ, რომ მხოლოდ თვითმპყრობელობის საფარველსა ქვეშე იქმნება ბედნიერ ჩვენი საყვარელი რუსეთი, ისეთი ბედნიერი, როგორს ბედნიერებასაც ვერ მიაღწევენ დასავთლეთ ევროპის სახელმწიფონი."

მოისმინა-რა ხელმწიფე იმპერატორმა ეს უქვეშევრდომილესი სიტყვა, გააბედნიერა პირადის გამოლაპარაკებით და მოწყალედ შენიშნა, რომ „მადლობელი ვარ თქვენგან გამოთქმულის თანაგრძნობისა და აზრებისათვისაო".

—

რუსეთის სატახტო ქალაქები აწ გარდაცვალებულის გარეშე საქმეთა მინისტრის—გარსის მოადგილედ ასახელებენ: ინგლისეის ელჩს ბარონს სტაალს, სტამბოლის ელჩს ნელიდოვსა და ბერლინის ელჩს თავ. ლობანოვ-როსტოვსკის.

—

ხმა დადის, რომ ამ წლის შემოდგომაზედ გარდაწყვეტილია მოახდინონ საყოველთაო აღწერა. „ცენტრალური სასტატისტიკო ბიურო" უკვე შესდგომია ამ საქმისათვის მომზადებას. აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც ყოველ დღე დასახლებულს „ბიუროში 200-მდის კაცი მუშაობს ამ საქმის გამო."

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს, მომავალს ზაფხულს მეცნიერთაგან შემდგარ ექსპედიცია გაჰგზავნოს კასპიის ზღვაზედ კარაბუღის სრუტეს გამოსაკვლევად, რომელიც თავისის აორთქლებით ამ ზღვის სიღრმეს შესამჩნევად ამცირებს და თევზებისთვის საჭირო მარილს აკლებს.

—

მართვა. მეორმეცე წლებში ამ გვარივე საზოგადოება დაარსდა მალოროსსიაში. ამ საზოგადოებების მოღვაწეობას პრაქტიკული შედეგი არა ჰქონდა, მაგრამ იდეა, აზრი მაინც დარჩა...

ამ იდეამ გაიტაცა მესამოცე წლების ციმბირელ სტუდენტთა წრეც, იმ განსხვავებით-კი, რომ ეს წრე მარტო ციმბირის თავისუფლებაზედ ჰფიქრობდა და არა სლავთა საერთო ფედერაციაზედ.

როგორც-კი დაასრულა იადრინცევმა უნივერსიტეტში სწავლა, მაშინვე წავიდა თავისს სამშობლოში და სხვებთან ერთად შეუდგა მუშაობას. ეს იყო 1863 წელს. დაიწყეს ჟურნალ-გაზეთებში წერა ციმბირის ბრწყინვალე მომავალზედ, დაიწყეს იმის სხვა-და-სხვა საჭიროებისა და ბედ-იღბალის გამო საჯარო ლექციების კითხვა, შეუდგნენ თავისის აზრების გავრცელებას საზოგადოებასა და ხალხში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ციმბირის ყაზახ-რუსობას, რომელიც დიდს ძალას შეადგენს იმ ქვეყანაში, რომელიც მაშინ არ იყო კმაყოფილი თავისის მდგომარეობით... ამ მოღვაწეობამ დიდ ხანს ვერ გასტანა: 1865 წელს ადგილობრივმა მთავრობამ დაატუსაღა მრავალი ახალგაზდობა, რომელთ შორის მოჰყვნენ იადრინცევი, შაშკოვი და პოტანინი. სამს წელიწადს გაგრძელდა გამოძიება და საქმის წარმოება და ამ სამის წლის განმავლობაში ყმაწვილები ციხეში ისხდნენ; მთავრობამ ბევრი იმათგანი დამნაშავეთ იცნო და სხვა-და-სხვა სასჯელი მიუსაჯა. იადრინცევი გაგზავნილ-იქმნა საცხოვრებლად არხანგელის გუბერნიაში, ქალაქ შენკურსკში, საიდგანაც მან დაბრუნების ნება მხოლოდ 1874-ში მიიღო. ამ ხნის განმავლობაში ის გულ-მოდგინედ სწავლობდა თავისის ქვეყნის მდგომარეობას, მის წარსულსა და აწმყოს. დაბრუნებისათანავე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა იმ გვარისავე მიმართულებით, როგორსაც წინად ადგა. 1876 წელს იგი მიიღეს სამოქალაქო სამსახურში, რომელშიაც ხუთი წელიწადი დაჰყო. ამ სამსახურის დროსაც მას ასულდგმულებდა მამულისათვის მოღვაწეობა. იგი დაუღალავად აგროვებდა სტატისტიკურსა, ეკონომიურსა და ეტნოგრაფიულს მასალას, შეისწავლა ახალ-მოშენეთა მდგომარეობა და ციმბირის მრავალ მკვიდრთა ცხოვრება. ერთის სიტყვით, ამ ხუთის წლის განმავლობაში იგი იყო არა მარტო რუსის მოხელე, არამედ თვისის მამულის გულ-შემატკივარი შვილიც. როგორ ზედ-მიწევნით შეისწავლა იადრინცევმა თავისი მამული და როგორი მდიდარი მასალა შეჰკრიბა სამსახურის დროს, ამას ამტკიცებს იმისი სამსახურიდგან გამოსვლის შემდეგ დაბეჭდილი შესანიშნავი გამოკვლევა, რომლის სათაურია: „ციმბირი, როგორც კოლონია; ეხლანდელი მდგომარეობა ციმბირისა; მისი საჭიროება და მოთხოვნილება; იმისი წარსული და მომავალი". ამ წიგნში მოთავსებულია ციმბირის ცხოვრების აღწერა ყოველის მხრით: როგორ სცხოვრებენ რუსები, ციმბირის მრავალნი მკვიდრნი, იქ დასახლებული დამნაშავენი; ბუნებრივი სიმდიდრე და იმისი ექსპლოატაცია, სწავლა-განათლების საქმე, იურიდიული და ადმინისტრატიული წეს-წყობილება და სხვა-და-სხვა. ამ წიგნმა პირველი ადგილი დაიკავა ციმბირის შესახებ ლიტერატურაში და ყველას, ვისაც ჰსურს ამ ქვეყნის გაცნობა, უთუოდ ამ წიგნს უნდა მიჰმართოს. იადრინცევმა ამ წიგნში ის აზრი გაატარა, რომ ციმბირის წინმსვლელობას გარეგანი შემაფერხებელი მიზეზები არ აბრკოლებდეს, ეს ქვეყანა მალე შეიქმნებოდა მდიდარი, კმაყოფილი და ბედნიერ მხარედაო. წიგნის უკანასკნელს თავში ავტორი ასახელებს იმ რეფორმებს, რომელთა შემოღება აუცილებელს საჭიროებას შეადგენს და ურომლისოდაც ქვეყანას არ შეუძლიან ცოტაოდნად მაინც წავიდეს წარმატების გზაზედ. ეს რეფორმებია: ერობისა და ნაფიც-მსაჯულების შემოღება, ბეჭდვისა და სიტყვის თავისუფლება, თავისუფლება ციმბირში გადასახლებისა, აღკრძალვა ციმბირში დამნაშავეთ გაგზავნისა და სხვა.

იმავე წელს იადრინცევმა ნებართვა მიიღო პეტერბურგში უცენზუროდ გაზეთის ბეჭდვისა და დააარსა საყოველკვირაო პოლიტიკური გაზეთი „Восточное Обозрѣніе". ამ გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო მწერლები, კორესპონდენტები და დიდი სამსახურიც გაუწია ამ გაზეთმა თავისს ქვეყანას. ჯერ ერთი, რომ იქ თავისუფლად იბეჭდებოდა ყოველივე, რაც-კი ხდებოდა ციმბირში; არც ერთი უკანონო, ან უსამართლო ქცევა ციმბირის ადმინისტრაციისა არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ გაზეთის მეთვალყურეთ; მერე ის, რომ გაზეთში თავისუფლად სჯიდნენ ციმბირის ამა თუ იმ საჭიროებაზედ. ამ პუბლიცისტურ მასალის გარდა «აღმოსავლეთის მი-

ნამდვილ წყაროდგან გადმოგვცეს, ამბობს „Новое Время", რომ ერთმა ამერიკელმა წიგნების გამომცემელმა ლეონ ტოლსტოვს მის უკანასკნელს მოთხრობაში, თითოეულს ასოზედ ორი დოლარი აძლიაო. ფურცელში 35 ათასი ასოა, მაშასადამე ფურცელზედ 70 ათასი დოლარი უძლევია. დოლარი 1 მან. და 31 კ. უდრის ოქროთი, მაშასადამე ამერიკელს გამომცემელს ფურცელზედ 80 ათასი მან. უძლევია. აი ქვეყანა, აი მკითხველები! მაგრამ ჩვენ რუსებსაც გვეძლევა უფლება, ამაყად ვსთქვათ: აი მწერალი! რადგანაც ამოდენა ჰონორარი ჯერ არასოდეს და არავისთვის არ შეუძლევიათ.

— განა ტოლსტოიმ უარი განაცხადაო? იკითხავს მკითხველი.

უთუოდ უარს ეტყოდა.

— მაგრამ იქმნება ამიტომაც შეაძლია ამერიკელმა, რომ ტოლსტოი უარს ეტყოდა?

ჩვენ არ ვიცით. ვიმეორებთ მხოლოდ მას, რომ ეს ამბავი ნამდვილის წყაროდგან არის ამოღებულიო, დასძენს „Новое Время".

## ქალაქის საბჭო.

30 იანვარი.

საბჭომ პირველად განიხილა წინადადება ხმოსანის თ. ნ. ზ. თუმანოვისა იმის შესახებ, რომ ეტლების ნიხრი შეცვლილ-იქმნას. ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ ექვსის შაურის ნაცვლად ეტლზედ უნდა დაინიშნოს ხუთი შაური, ხოლო დროშკაზედ აბაზის ნაცვლად სამი შაური. ქალაქის გამგეობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ შესაძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ რკინის გზის სადგურამდე შეიცვალოს ეტლების ფასი და თხუთმეტის შაურის მაგიერ სამი აბაზი დაინიშნოსო. საბჭომ დაადგინა, ეს საგანი კომისიას გარდაეცეს და იმან გამოიკვლიოს, შესაძლებელია მართლაც ეტლების ნიხრის შემცირება თუ არაო. კომისიის წევრებად ამ საღამოსვე ამორჩეულ-იქმნენ: თ. ნ. ზ. თუმანოვი, სლივიცკი. თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკი, ბ-ნი შაჰაზიზოვი—კამსარაკანი და ქოჩორიანცი.

შემდეგ წაკითხულ-იქმნა ქალაქის გამგეობის მოხსენება ცხვრის ხორცის ნიხრის მომატების შესახებ. გამგეობა ამბობდა, რომ ცხვარი ძალიან ძვირია, ცოტა მოდის და ყოვლად შეუძლებელია, რომ ყასბებმა 7 კაპ. გაჰყიდონ გირვანქაო. ამიტომ სამართლიანი იქნება, რომ 9 კაპ. იყოს დადებულიო. საბჭომ ეს აზრი გამგეობისა შეიწყნარა. ეს აზრი საბჭოსი წარედგინება გუბერნატორს და დამტკიცებულ-იქმნება თუ არა, ცხვრის ფასი გირვანქა 9 კაპ. გაიყიდება.

საბჭომვე მოისმინა თხოვნა სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფის სულტანოვისა და მეორე საკვირაო სასწავლებლის მასწავლებელი-ქალებისა შემწეობის შესახებ და დაადგინა: სულტანოვს ერთხნობით მიეცეს შესაწევრად 600 მან., ხოლო მეორე საკვირაო სასწავლებელს—200 მან. გადადებულ-იქმნა აგრეთვე 725 მან., სამოსწავლო კომისიის შუამდგომლობის თანახმად ჩუღურეთის საქალაქო სასწავლებლის შენობის დასამთავრებლად, ეს სასწავლებლის შენობა მართლაც მშვენივრად არის აგებული და მიწა და ადგილი ქალაქს 17,500 მან. დაუჯდა. ეხლა სასწავლებელს მხოლოდ დამთავრება-ღა აკლია და ამ ხარჯისათვის საბჭომ კვლავ 725 მან. გადასდო.

საბჭო საღამოს 11 საათზედ დაიშალა.

## სამღვდელოების დღევანდელ მდგომარეობის გამო.

ადგილობრივს გაზეთებში მრავალჯერ ყოფილა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან აღნიშნული, რომ ესა და ეს მღვდელი უდიერად ეპყრობა თავისს მრევლსა და ყველა ეს რომ შევაერთოთ გამოვა, რომ რომელიმე მღვდელი საღმრთო მოქმედების შესრულებამდის სთხოვს თავისს მრევლს საწესოსა, ესე იგი იმას, რაც ჩვეულებისამებრ იმ მრევლს ჰმართებს მღვდლისა და რაც ერგებოდა მრევლისაგან მღვდელს წარსული დროის სამსახურისათვის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 95% მღვდლებზედ საჩივრისა, რაც-კი გაზეთებს გამოუქვეყნებიათ, ან ვისმე გაგონებით გაუგონია ზემორე მოყვანილის კალაპოტზედ არის გამოჭრილი. უკანასკნელს დროს ეს საჩივრები უფრო ხშირდება, გაზეთებში თუ ყოველთვის ვერა პოულობენ ადგილს, პირადს საუბარში მრავალჯერ გაიგონებთ ამას. ამიტომ, დრო არის, საფუძვლიანად გამოარკვიოს კაცმა ეს საქმე. რასაკვირველია, ეს საკითხი უფრო ადგილობრივ სასულიერო ორგანოთა ხელსაყრელი და შესაფერია, მაგრამ, როგორც სჩანს, ისინი ამისთანა საკითხავებით არ იწუხებენ თავსა.

მე ამის გამოკვლევას არა ვკისრულობ, მხოლოდ გულით მინდა, როგორც მორწმუნეს, როგორც სამრევლოს წევრს, რომ საკითხი ყველასათვის ცხადად იყოს გამოცხადებული, რომ აქ დამალული და უკუ დაყენებული აღარა იყოს-რა. მხოლოდ მაშინ შეუძლიან უმაღლესს სასულიერო მთავრობას შესაფერი ღონისძიების ხმარება, როცა ყველა ნათლად და მარჯვედ ეცოდინება. თუ აქნობამდის არ იცის, ეს იმათი ბრალია, რომელნიც დაყენებულნი არიან ამ საქმის დარაჯად და რიგზედ არ ჰდარაჯობენ, არას აცნობებენ უმაღლესს მთავრობას.

მთელს კახეთში არ მოიპოვება იმისთანა სამრევლო, რომელშიაც წლის განმავლობაში რამდენსამე კომლს უარი არ მიეღოს რომელსამე საჭირო საღმრთო მოქმედების შესრულებაზედ და უარის მიზეზად არ ყოფილ-ყოს საწესოს გადუხდელობა. ეს გარამოება ისეა გახშირებული, რომ ვერც ერთი მღვდელი ვერ იტყვის უარსა, როგორც ვერ იტყვის იგი უარს იმაზედ, რომ მის სამრევლოში ყოველ-დღე მზე ამოდის და ჩადის. თუ დღემდის ამისთანა შემთხვევებს ხელს აფარებდნენ იმიტომ, რომ ნაკლებად იყო მიზეზი. ახლა სხვა არის, სოფლის სამრევლოს კრებული მომეტებულად შესდგება სამის კაცისაგან: მღვდლისაგან და ორი მედავითნისაგან. მთელს ქართლ-კახეთში, გარდა ფშავ-ხევსურეთისა, ზემო-თუშეთისა და ოსეთისა, ძველის-ძველი ჩვეულებით სამრევლო აძლევდა კრებულს კომლზედ კოდს პურს, ნახევარ კოდს ქერს, სამ აბაზს ფულს და, სადაც ღვინო ბევრი მოდიოდა, ჩაფს ან ნახევარ ჩაფს ღვინოს წელიწადში ეს იყო ყოველ-წლიური გარდასახადი კომლისა. ამას გარდა მიცვალებულის პატრონი იხდიდა საშვიდოს, საორმოცოს და წლის თავისას. მექორწინე—ნიშნობისას და საქორწილოს. ამით სცხოვრებდა ძველად ქართლ-კახეთის სოფლის სამრევლო კრებული. თეოფილაქტეს ექსარხოსობის დროს კოდი პური და ქერი დაკანონებულ-იქმნა, ე. ი. თვით ექსარხოსისაგან ეს გარდასახადი შეწყნარებულ-იქმნა, ხოლო ვერ მიიღო ამ გარდასახადმა სანქცია კანონ-მდებლობითი. შემდეგ მღვდელს და ერთს მედავითნეს ჯამაგირიც დაენიშნათ, მაგრამ ეს ჯამაგირი ისე მცირე იყო, რომ კრებულს ამით ცხოვრება არ შეეძლო და მრევლი ჩვეულებისამებრ აძლევდა სამრევლო კრებულს საწესოსა.

უკეთუ რომელიმე მრევლი არ გარდიხდიდა საწესოსა, აქ მღვდელს ადგილობრივი ადმინისტრაცია ეხმარებოდა, ართმევდა მრევლს საწესოს და კრებულს აბარებდა. სიღნაღის მაზრაში ადგილობრივმა მთავრობამ საუკეთესოდ დაინახა, სამალაზიო პურთან სამრევლო კრებულის საწესოც მოეკრიბა და კრებულისათვის თვით მაღაზიიდგან ჩაებარებინა. სიღნაღის მაზრაში ეს წესი დაცული იყო 1894 წლამდის. თელავის მაზრაში-კი ურჩის მრევლისაგან მაზრის უფროსის ბრძანებით ჰკრებდნენ საწესოს. ამ სამი-ოთხის წლის წინად თელავის მაზრის გამგეობამ უარ-ჰყო წინანდელი წესი და გამოაცხადა, რომ საწესოს მოკრება მაზრის ადმინისტრაციის მოვალეობა არ არისო. ამასთან მრევლს გამოუცხადა, რომ შენი ნება-ყოფლობაა, გსურს მისცემ შენს სამრევლო კრებულს საწესოს, გინდა არა, ძალის დამტანებელი არავინა გყავსო. შენ და კრებული უნდა შესთანხმდეთ მაგაშიო. რასაკვირველია, მე ამით, არ მინდა ვსთქვა, რომ ამაში სამაზრო გამგეობა უკანონოდ იქცეოდა მეთქი. სრულიადაც არა. სამაზრო გამგეობა სრულიად კანონიერად იქცეოდა. როგორც ზევით მოგახსენეთ, საწესო გარდასახადი თუმცა ექსარხოსისაგან აღიარებული იყო, მაგრამ კანონ-მდებლობითი დამტკიცება არა ჰქონდა და ადმინისტრაცია გლეხთა საზოგადოებას ვერას გარდაახდევინებს, თუ გადასახადი სავალდებულოდ უმაღლესად არ არის აღიარებული. მართალია, ადმინისტრაციის შეხედულება კანონიერია, მაგრამ ახლა, წარმოიდგინეთ, ამ კანონიერმა შეხედულებამ რა მდგომარეობაში ჩააგდო კრებული! რა-კი გლეხმა გაიგო, რომ შენი ნებაა, თუ გსურს მიეცი, თუ არა გსურს, ნუ მასცემო, აბა მიცემის სურვილი რას უნდა გამოეწვია იმის გულში? მეტყვით, კეთილს და მამა-შვილურს განწყობილებას მასთან კრებულისასაო. მართალი ბრძანდებით, მაგრამ კეთილი და მამა-შვილური განწყობილება კრებულისა მრევლთან ისეთი მოვლენა ხომ არ არის, რომელიც მანანასავით ზეციდგან ჩამოდიოდეს მზა-მზარეულად, ამისათვის ხომ საჭიროა ნიადაგის მომზადება და მრავალი სხვა და ამ მრავალთა შორის ხანგრძლივი დრო. ხანგრძლივს დროს-კი ადამიანი უჭმელ-უსმელი ვერა სძლებს. ამას ზედ დაუმატეთ კეთილი განწყობილების და მამა-შვილურის დამოკიდებულების ამრევ-დამრევნი გარემოებანი, რომელთაც თავი იჩინეს სწორედ იმ დღიდგან, როდესაც პირველად ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ითავა საწესოს მოკრება, რომელნიც დღევანდლამდის ისე გამრავლდნენ, რომ შორს, ძალიან შორს განდევნეს კეთილი განწყობილებაცა და მამა-შვილური დამოკიდებულებაც. უკანასკნელი გარემოება ფრიად საყურადღებოა, მაგრამ შველა არ საიდგან არა აქვს, თუ კრებულის საწესოს კითხვის ნასკვი არ გამოიხსნა. რომ აწინდელს მდგომარეობაში სოფლის სამრევლოს კრებული ვერ იცხოვრებს საწესოს მოუკრებლად, ამას ცხადად დავინახავთ, თუ აღვნიშნავთ სოფლის სამრევლო კრებულის შემოსავალსა.

უნდა მოგახსენოთ, რომ სამრევლოები ერთხელ-და-ერთხელ, რაღაცა აუხსნელი მიზეზის გამო, უსამართლოდ არის განაწილებული. შეჰხვდებით სამრევლოს, რომელშიაც ორასზედ მეტი კომლი ითვლება. თითქმის სამას კომლს უწევს, ზოგში-კი სამოცია. არ გეგონოთ ყველგან სიშორე იყოს მიზეზი, ეს მიზეზი იშვიათია. ერთსა და იმავე სოფელში ერთს კრებულს 200—300 კომლი ჰყავს მრევლად, იქავე მეორე კრებულს 120—140 კომლი. არც ის გეგონოთ, რომ მცირე და დიდს სამრევლოებში ღირსების დაგვარად იყვნენ დარიგებულნი კრებულნი, სულ შემთხვევის წყალობაა. მომეტებული რიცხვი სამრევლოებისა 120—150 კომლია, მაგრამ 200 კომლიანს სამრევლოს ავიღებ და აღვნიშნავ შემოსავალს მეტობით.

მღვდელს ეძლევა ჯამაგირად საეკკლესიო ფულიდგან 98 მანეთი წელიწადში, ერთს მედავითნეს 40 მან. წელიწადში, მეორე მედავითნეს არაფერი არ ეძლევა ჯამაგირად. წელი-

---

მოხილვა" ჰბეჭდავდა ბევრს სამეცნიერო მასალას, რომელიც შეეხებოდა ციმბირის ალებ-მიცემობის საქმეს, მრეწველობას, ეკონომიურს მდგომარეობას, გეოგრაფიას, ეტნოგრაფიას, არხეოლოგიას და სხვა. რასაკვირველია, გაზეთის ამგვარი მიმართულება არაფრად ეპაშნიკებოდათ ციმბირის ძლიერთ; გაუჩნდნენ მტრები იადრინცევს და ეს ასე მშვენიერად დაწყებული საქმე შეუფერხეს: 1885 წელს მთავრობამ აღკრძალა გაზეთის უცენზუროდ ბეჭდვა. ბევრი ცდა და მეცადინეობა დასჭირდა იადრინცევს, რომ გაზეთი ცოტათი მაინც ჰმსგავსებოდა უწინდელს. 1887 წელს მას კიდევ ეწვია უბედურება: რამოდენიმე საუკეთესო თანამშრომელნი იძულებულ-ჰყვეს პეტერბურგიდგან წასულიყვნენ. გაზეთის საქმე ძალიან შეფერხდა და იადრინცევმა განიზრახა იმისი გამოცემის გადატანა ირკუტსკში, რაც მაშინვე შესრულდა კიდეცა. ეს დიდი შეცდომა მოუვიდა იადრინცევს: რაც უნდა იყოს სატახტო ქალაქში სჯობია გაზეთის ბეჭდვა, ვიდრე პროვინციაში, სადაც ცენზურა უფრო ეჭვით უყურებს ჟურნალ-გაზეთობას და ადმინისტრაცია ყოველ-ღონეს ჰხმარობს გაზეთი დასცეს, თავისთვის უვნებლად გაჰხადოს... იადრინცევმა მალე დაინახა თავისი შეცდომა, მაგრამ შრომას და მეცადინეობას მაინც უმატა და გაზეთმა მალე პირველი ადგილი დაიჭირა ციმბირის გაზეთებს შორის. 1888-ში იადრინცევს ეწვია დიდი უბედურება: მოუკვდა მეუღლე, მისი თანამოაზრე და დიდი თანაშემწე... იადრინცევს თუ რამ გააჩნდა, სუყველა გაზეთს სოანდომა და ამავე წლიდგან იგი მატერიალურად დიდს გაჭირვებას ითმენდა. შემდეგს წლებში იადრინცევი მოგზაურობს მონგოლებში, სადაც ის ბევრს არხეოლოგიურს ნაშთს ჰპოულობს და სხვათა შორის აღმოაჩენს ნანგრევებს შესანიშნავ მონგოლთა ქალაქის კარაკორუმისას. ამ დროსვე იბეჭდება მისი შესანიშნავი მეორე წიგნი: „ციმბირის მკვიდრნი; მათი ყოფა-ცხოვრება და ახლანდელი მდგომარეობა". ეს წიგნი შეიცავს მრავალს ახალს მასალას მკვიდრთა შესახებ, თვით მისგანვე შეკრებილს. ეს წიგნი დიდის გრძნობით არის დაწერილი; იადრინცევი შესანიშნავი სიყვარულით იკვლევს შევიწროებულ ციმბირის მკვიდრთა მდგომარეობას და ამტკიცებს, რომ უკეთეს გარემოებაში ისინი უთუოდ პროგრესის გზას დაადგებიანო...

მუდმივმა შრომამ და მატერიალური მხრივ მუდმივმა გაჭირვებამ იადრინცევი ძალიან დასცა; 1891 წელს პეტერბურგში მისმა მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ იადრინცევი ძალიან ავად იყო; ექიმებმა ურჩიეს მოსვენება, მაგრამ ამ დროს იმისს სამშობლოს დიდი შიმშილობა ეწვია და იადრინცევმა მაშინვე გასწია თავისს სამშობლოში, სადაც სხვა-და-სხვა საშუალებით შეგროვილის ფულით ეხმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილს გლეხ-კაცობას. ამ მოღვაწეობამ უარესად დასცა იმისი ჯანმრთელობა; შეშინებულმა მეგობრებმა შეუგროვეს ფული და გაისტუმრეს ამერიკაში, სადაც იმ წელს მსოფლიო გამოფენა იყო. იადრინცევი ამერიკიდგან მალე დაბრუნდა ისევ ავადმყოფი, მაგრამ მაშინვე შეუდგა მუშაობას. ის გაემგზავრა ქალაქ ბარნაულს, სადაც ამ დროს იწყებდნენ ალტაის ოლქის ეკონომიურად შესწავლას, მაგრამ იადრინცევს აღარ დასცალდა და გარდაიცვალა ორმოც-და-თორმეტის წლისა.

ასე უდროოდ დალია სული ამ თავგანწირულმა მოღვაწემ და საკვირველმა მამულის შვილმა. ცხოვრების ყოველი წუთი შესწირა მან თვისის სამშობლოსთვის შრომას; იგი იყო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და ლიტერატორი, ყოველ მხრივ შეისწავლა მან ციმბირი და ასწავლიდა საზოგადოებასაც იმისს საჭიროებათა მნიშვნელობა; ტყუილად კი არ დაარქვეს მას „ციმბირის ცოცხალი უნივერსიტეტი". იადრინცევი სიტყვით და საქმით ასწავლიდა ახალ-თაობას, როგორ უნდა მამულისათვის შრომა და რაში გამოიხატება სიყვარული ნამდვილის პატრიოტისა.

ლალი.

წადში შეიძლება იყოს 10 ქორწინება, რაშიაც აიღებს კრებული 80 მანეთს; ნათლობა შეიძლება იყოს 60, ამაში აიღებს 30 მან. დიდი და პატარა მიცვალებული შეიძლება იყოს 30, ამაში სამკვდროსას აიღებს 160 მან., სხვა სამრევლოში გაწვევაზედ დაწვრილად კიდევ აიღებს 30 მანეთს, —სულ შეადგენს 300 მანეთს. აქედგან $^3/_5$ მღვდლისაა და თითო $^1/_5$ მედავითნეებისა. მღვდელს ერგება 180 მან. და ჯამაგირიც რომ მიუმატოთ, გაუხდება 274 მან. პირველს მედავითნეს ერგება 60 მან., ჯამაგირიც მივუმატოთ, გაუხდება 100 მან., მეორე მედავითნეს 60 მან. ახლა ვიკითხოთ შეიძლება ამ ფულით მღვდელმა იცხოვროს ცოლ-შვილით? შეიძლება მედავითნემ 100მ. და 60 მ. იცხოვროს ცოლ-შვილით, როცა თვითო მეზვრე იღებს წელიწადში 100 მ. ჯამაგირს, ჭამევა, ფეხთ-საცმელი და ერთი ხელი ტანისამოსიც ზვრის პატრონისაა? აქ მოჯამაგირე წლით 80-90 მან. ნაკლებ არა დგება; ამასთან საჭმელიც ეძლევა და სამოსელიც. განა თუ ცხოვრება შესაძლებელი იყოს 60 მ. და 100 მან., მოჯამაგირეს ეგ ფასი ედებოდა? მართალია, ყოველი მღვდელი ცუდად იქცევა, როცა იგი უარს ეუბნება საღმრთო მოქმედების შესრულებაზედ ვისმე, მაგრამ იგი აქ იქცევა როგორც მონა გარემოებათა. ჯერ დავიხსნათ იგი გარემოებათა მონებისაგან და განთავისუფლებულს მოვთხოვოთ ყველაფერი. გარწმუნებთ, ეს საგანი ფრიად საყურადღებოა ყველასათვის, ვისაც გული შესტკივა. საწესოს შემოსავალზედ შემდეგში.

ი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ავსტრიის მთავრობამ დევნა დაუწყო მართლმადიდებლობის იმ საეკკლესიო წიგნებს, რომლებიც რუსეთიდგან შეაქვთ გალიციაში. ერთს ბუკოვინის მართლმადიდებელ მღვდელთაგანს კიევიდგან თავისის სიძის პროფესორ გრიგოროვიჩის მიერ გაგზავნილი საეკკლესიო წიგნები თურმე მიუვიდა; ავსტრიის საბაჟომ წიგნები დაიჭირა და პროკურორს შეატყობინა, რადგანაც წიგნებში რუსეთის მეფისათვის ლოცვებიც არის. ამ გარემოებაში, მოგვითხრობს ჩერნოვიცელი კორესპონდენტი „Моск. Вѣд."-ისა—ავსტრიის მთავრობა სახელმწიფო დანაშაულსა ჰხედავს. პროკურორმა ამ საქმის შესახებ შემდეგი გონივრული მოსაზრება წარმოსთქვა, რომ, როგორც სჩანს, კაკში მთელი ორგანიზაციაა შემდგარი პანსლავისტთაგან, რომელსაც აზრად აქვს, ავსტრიაში მცხოვრებ სლავიანებს და რუსებს მთავრობის სიძულილი ჩაუდოს გულში, რუსეთს დაუახლოვოს, და რომ ამ ორგანიზაციის წინამძღოლად და მეთაურად ბ ნი გრიგოროვიჩია, რომელმაც ეს წიგნები გამოჰგზავნა, ამაში ეჭვი არ არის.

პირველს გარჩევაზედ სასამართლომ პროკურორის მეთვალყურეობა და წიგნების დაკავება გარდასწყვიტა, მაგრამ საქმე მაინც ჯერ გათავებული არ არის, თუმცა ეხლავე სჩანს, რომ წიგნების მიმღები წააგებს: როდესაც კი ავსტრიის მოხელეთ პანსლავიზმი ელანდებათ, ისინი სრულიად იბნევიან და არავითარის უცნაურის განკარგულების წინაშე არ შეფერხდებიან ხოლმე; ამისი მაგალითი მრავალიაო, ამბობს „Новое Время".

ამ ჟამად ყველაზედ მეტად ამ საქმის ერთი მხარე იპყრობს ყურადღებას. მართლ-მადიდებლობის საეკკლესიო წიგნები ავსტრიაში არ იბეჭდება და რუსეთიდგან შეტანილის წიგნების ხმარება-კი აღკრძალული აქვთ. მაშ როგორ უნდა იყოს ადგილობრივ ეკკლესიისა და მართლმადიდებელთა საქმე?!

საკვირველია, რად უნდა განიზრახოს ქრისტეანე სახელმწიფომ ასეთი შეუფერებელი საქციელი, რომლითაც ერს არ შეუძლიან თავისს საკუთარს ენაზედ ადიდოს ღმერთი, იმ ენაზედ, რომელიც მას ესმის და ურომლისობითაც შელახულ-იქმნება მისი სარწმუნოებრივი გრძნობა. რა ადგილი აქვს პოლიტიკას სარწმუნოებასთან, ერის სამშობლო ენასთან? ეს ჩვენის აზრით დიდი წინდაუხედველობაა სახელმწიფოსი, რადგანაც ამ გვარი პოლიტიკა ჰბადებს სიძულილსა და მტრობას მბრძანებელ ერისადმი და ის მოხელეები-კი, რომლებიც ასეთს გულითადს სამსახურს უწევენ სამშობლოს, ექვი არ არის, ამითი, მეგობრებს-კი არა, მტრებს სძენენ სახელმწიფოს, რომლებიც პირველსავე შემთხვევაში მაგიერის გადახდას ეცდებიან.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარისის ჟურნალ-გაზეთობის უკანასკნელი ნომრები ამტკიცებენ, როგორ ალტაცებით მიეგებნენ როშფორს კალეში; გარდა ამისა მოჰყავთ შემდეგი ფაქტები:

როდესაც ალტაცებული მიგებება ცოტათი დაწყნარდა, როშფორმა სთქვა: ჩვენ, სოციალისტები, მკვდრეთით აღდგენილს ლაზარეს ვემსგავსებით. ჩვენს მტრებს ჰგონიათ, რომ სრულიად დავუძლურდით, მაგრამ აგერ ღვსდგებით არარაობიდგან და პარისში ვბრუნდებით სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენნი მოწინააღმდეგენი მაზასისაკენ *) სდგმენ ნაბიჯს.

ამის პასუხად ადგილობრივმა სოციალისტებმა რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს, რომლითაც გამოჩენილს „განდევნილს" უგულითადესი თვისი პატივის-ცემა განუცხადეს; იმ დროს როდესაც ხალხში ალტაცებული ტაშის ხმა გაისმოდა, ვოგანმა განაცხადა: „როშფორი პარისს ეკუთვნის და არასოდეს აღარ იქმნება აქედგან განდევნილიო".

საღამოს 10 საათზედ როშფორი თეტრში მივიდა; ხალხი ტაშის-კვრით და „ვაშას" ძახილით მიეგება; როშფორმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა ხალხს:

«გმადლობთ, ჩემო მეგობრებო, რომ აგრე სიყვარულით მეგებებით. ეს არის ჯილდო ყველა იმ უსამართლოებისათვის, რომლის მსხვერპლადაც მე გავხდი და რა მწუხარებაც განდევნის დროს გამოვიარე. როგორც უნდა ეცადნენ ჩვენნი, ოქვენნი და საზოგადოდ მტერნი რესპუბლიკისა, ვერ ეღირსებიან იმას, რომ დროშა სოციალიზმისა ძირს დაუშვათ, მივივიწყოთ სოციალიზმის მოთხოვნილებანი, რომლის ერთგულ დარაჯადაც ვიყავით, ვართ და ვიქმნებითო. ბევრს შევებრძოლე, ბევრთან მქონდა ომი, რომელთაც თვისი თავი უძლეველად მიაჩნდათ; მე გამოვცადე მრავალი უსიამოვნება, სასჯელი, განდევნა და კვალად მზადა ვარ იგივ განვიმეორო, რომ ჩემი რესპუბლიკალურ-სოციალისტური სინიდისი დავაკმაყოფილო და მით დავიმსახურო ის ნდობა და თანაგრძნობა, რომელსაც თქვენ მიცხადებთ და რომლისთვისაც სულით და გულით მადლობას გიძღვნითო.»

*) საპყრობილეა.

—

**ინგლისი.** გაზეთი „Times"-ი დაბეჯითებით ამბობს, რომ რუსეთსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მორიგება მოხდა იმის შესახებ, რომ შეერთებულის ძალით იშუამავლონ იაპონიასა და ჩინეთს შორის, თუ უკანასკნელი დამარცხებულად ჩასთვლის თავისს თავსაო. ევროპა ნებას არ მისცემს იაპონიას, ჩინეთის მიწა-წყლიდგან რამე მიითვისოს, მხოლოდ კუნძულების მითვისებაზედ-კი არ ეწინააღმდეგებაო. გარდა ამისა არ ეწინააღმდეგება აგრეთვე კონტრიბუციის გარდახდევინებას. გარდა ამისა ევროპა თავის მხრივ მოითხოვს, რომ ჩინეთის ნავთ-სადგურებში ევროპის ხომალდებმა თავისუფლად იარონო.

## გამოსადეგი ცნობა

თუ გინდათ, რომ ქათმის კვერცხები გაზაფხულამდის შეინახოთ, ისე რომ არ წახდეს ან არ გალაყდეს, შემდეგი საშუალება უნდა მიიღოთ: სარდაფში ან სახლის სახურავზედ უნდა დასდგათ ხის კასრი, რომელიც რკინისა და ხის რკალებით მაგრად უნდა იყოს დაჭედილი. შემდეგ ჩაალაგოთ შიგ კვერცხები პირთამდის, ასე ერთის ხელის დადება რომ აკლდეს. ჩალაგებულს კვერცხებს ზევიდგან კირის წყალი უნდა დაასხათ და მაგრად დაჰხუროთ თავი. ამ გვარად შენახული კვერცხები დიდხანსა სძლებს. შეიძლება ზამთარში კირის წყალი ცოტათი გაიყინოს და ზოგი-ერთი კვერცხიც გასქდეს, მაგრამ კვერცხები არ გაფუჭდება. გაზაფხულზედ კასრს თავი უნდა ახადოს და გაყინული წყალი შეადნოთ. შეგიძლიანთ, აგრეთვე კვერცხები ცივს წყალში ან თოვლში ამოალაგოთ. ამ გვარად გამოხვალი კვერცხი არა ჰკარგავს თავისს გემოს და სიახლეს. მხოლოდ მალე კი უნდა დახარჯოთ, თორემ სუფთა ჭაერზედ ბევრს ხანს ვეღარა სძლებს.

კირის წყლის ნაცვლად კვერცხების შესანახავად მარილ-წყალიც იხმარება.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით მომავალის თიანეთის საზოგადო წიგნთ-საცავის დამფუძნებელ წევრთა მონდობილობით გულითადი მადლობა ვუძღვნა მამა დეკანოზს გძელიშვილს დარბაზის უფასოდ დათმობისათვის და აგრეთვე იმათ, რომელთაც ამ იანვრის 29-ს ს. თიანეთში გამართულს ქართულს წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს. ამ წარმოდგენიდგან წიგნთ-საცავს ნაღდად შემოსავალი დარჩა 40 მანეთი.

სრული იმედი გვაქვს, პატივცემულნი მოღვაწენი ამ ნორჩს საქმეს შემდეგშიაც არ მოაკლებენ თავისს ყურადღებას.

თიანეთის მომავალ წიგნთ-საცავის დამფუძნებელ წევრთაგან რწმუნებული

მ. გ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 იანვარი

**პეტერბურგი.** გაზეთი „Новости" ამბობს, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ციმბირში სამუდამოდ გადასახლების საქმე, ის აზრი დაასკვნა, რომ გადასახლება მხოლოდ კეთილშობილთა წოდებისათვის იყოს და ამ შემთხვევაში განაპირა ადგილად ციმბირის ჩრდილო გუბერნიების შორეული ადგილები იყოს დანიშნულიო.

29 იანვარი.

**სტამბოლი.** აქაური მთავრობა ჰფიქრობს, რომ ხალხთა შორის საერთო საშუალებათა და ცივ ამინდების შემწეობით ხოლერა ფეხს ვერ მოიკიდებსს ლა ეპიდემიად არ გარდაიქცევაო.

**ლონდონი.** («რეიტერის» სააგენტო). იაპონელებმა კუნძული ლიუკუნგ-ტაო დაიპყრეს. იტაოს კუნძულზედ თოფ-წამლის საწყობი ააფეთქეს.


## განცხადებანი

ახლად გახსნილი
თესლეულობით ვაჭრობა
„ფლორა"

მიხეილის ქუჩა, № 159. ტელეფონი № 52.

მივიღეთ სულ ახალი თესლი ყვავილებისა და ბოსტნეულობისა.

კატალოგი მსურველთ დაუყოვნებლივ და უფასოდ ეგზავნებათ.

ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: ტფილისი, „ფლორა".

(5—904—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სტაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . . | „ | 5 |

## ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული
**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**
წიგნი შეიცავს 600 მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით,
ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**
მშვენიერს ყდაში და ყ'რანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**
დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული,
ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**
დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული,
ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის პრებული**
სახალხო გამოცემა,
ფასი 15 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 31-го Января 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.